მეორე გამარჯვება

გუშინ ლ.პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის "დინამოსა" და ლენინგრადის "ზენიტის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის პირველი წუთები ლენინგრადელთა უპირატესობით მიმდინარეობს. მათი თავდამსხმელები ზედიზედ კარგავენ ბურთის გატანის შესაძლებლობას. თამაში თანდათან მწვავე ხასიათს იღებს. მე–16 წუთზე გ. ჯეჯელავა–ანთაძე–ხარბედიას მიერ ლამაზად გათამაშებული კომბინაცია სრულდება ლენინგრადელთა კარში პირველი ბურთის გატანით.

შემდეგი წუთები მიმდინარეობენ ცვალებადი უპირატესობით. თბილისელ თავდამსხმელთაგან განსაკუთრებით აქტიურობენ ახალგაზრდა მოთამაშეები ღოღობერიძე და ანთაძე. ტაიმის უკანასკნელ წუთებში შეტევას ლენინგრადელი ფეხბურთელები აწარმოებენ. მე–40 წუთზე თბილისელთა მეკარე სანაია მეტად საშიშ ბურთს იღებს, ხოლო ორი წუთის შემდეგ დამცველი კიკნაძე აქარწყლებს კართან შექმნილ სახიფათო მომენტს. თამაშის პირველი ნახევარი მთავრდება 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისში მარჯვენა ფრთაზე გასული გ. ჯეჯელავა მაღალ ბურთს აწოდებს ლენინგრადელთა კართან. "ზენიტის" მარჯვენა მცველი შეეცადა თავით მოეგერიებინა იგი. მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი მათსავე კარში შევიდა.

ამრიგად, ეს კალენდარული მატჩიც თბილისელმა დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0.

გ. მახარაძე.

"კომუნისტი", 20 მაისი 1945 წ.